



N 5251/01  
09/06/2020

5251-01-2-202006091646



### საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 7 მაისის N6934 განცხადება, რომელიც ეხება სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვართან, მდინარე დებედაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიში მოიცავს ტერმინოლოგიურ და ტექნიკურ ხარვეზებს, მოცემული წინადადებები ბუნდოვანი და შინაარსობრივად გაუმართავია (სავარაუდოდ არასწორი თარგმანის გამო), რის გამოც როგორც სამინისტროს ისე, შესაბამისი დარგობრივი ექსპერტების მიერ ვერ ხერხდება აღნიშნული პროექტის სათანადო განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიში, მათ შორის გეოლოგიური და ჰიდროლოგიური ნაწილი შემდგომი განხილვის მიზნით საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას. გზმ-ის ანგარიში გაურკვეველია წინადადებები „მდინარის აუზის ფიზიოლოგიური მახასიათებელი“, „წყალდიდობების მაგნიტუდა“, „დაპროექტების დაბრუნების ინტერვალი“, „ომბრომეტრიული სადგურები“, „პროექტის განმეორების ინტერვალი არის გამოყოფა“, „დაკვირვების წერტილის 0.1%-ით მეტი სიჩქარის მაქსიმალური გამოანგარიშება“. ასევე გაურკვეველია ჩანაწერები ცხრილში 22.2.3.2: „გამოყოფა მ<sup>3</sup>/წმ“, ცხრილში 22.2.5: „საშუალო შედ. დევ“ და „საშუალო ფართ. შედ. დევ“. ცხრილში 22.3.1: „ღირებულებები“, „მდინარის ფერდობი“, „აუზის ამაღლება“ და ა.შ.

ამასთან დოკუმენტში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- გზმ-ის ანგარიშში მაქსიმალური ჩამონადენის გაანგარიშებისას, გამოყენებულია ჰ/ს აირუმზე დაფიქსირებული მაქსიმალური სიდიდეები, სადაც არ ჩანს როგორ ხდება გადასვლა აირუმის სადგურის წყალშემკრები აუზიდან საპროექტო ხიდის წყალშემკრებ აუზში აღნიშნულთან დაკავშირებით მითითებული უნდა იყოს ფართობების შესაბამისი გადამყვანი კოეფიციენტები;
- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი დაკვირვების რიგის სტატისტიკური დამუშავების შედეგად მიღებული პარამეტრები: ვარიაციისა და ასიმეტრიის კოეფიციენტები, საშუალო კვადრატული ცდომილება და საშუალო კვადრატული გადახრა;

- დატბორვის არეალების განსაზღვრისათვის აგებულია განივი კვეთის პროფილები და გამოყენებულია ტერიტორიის მოდელირება, მხოლოდ 10 წლიანი და 100 წლიანი განმეორებადობის წყლის ხარჯის შემთხვევაში. გაანგარიშება შესრულებული უნდა იყოს ასევე 50 წლიანი განმეორებისთვისაც, ვინაიდან გზმ-ის ანგარიშში გვ. 100-ზე აღნიშნულია, რომ „ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების გათვალისწინებით, წყალდიდობის განმეორების ინტერვალად ითვლება 50 წელი“. ამასთან, გაურკვეველია რა ხელშეკრულება იგულისხმება გზმ-ის ანგარიშში;
- 22.4 პარაგრაფის სათაურია „დეტალური ინფორმაცია მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე“, თუმცა აღნიშნულ ქვეთავში მინიმალურ ჩამონადენზე და მყარ ნატანზე ინფორმაცია არ არის მოცემული;
- საკვლევი ტერიტორიის შესწავლა/შეფასებაში ჰიდროლოგიური მოდელირებისას გამოყენებულია ციფრული სიმალლობრივი მოდელი (DEM) 12.5 მეტრის რეზოლუციის სიზუსტით. აღნიშნული პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია გამოყენებული და გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი სიზუსტის ციფრული სიმალლობრივი მოდელი;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მდინარის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი და მაქსიმალური გარეცხვის სიდიდეების შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „საპროექტო ხიდის ბურჯები მდებარეობს მდინარის კალაპოტში“ (გვ.41), ხოლო 145-ე გვერდზე (23.1 დასკვნა) მითითებულია, რომ „ხიდების საყრდენი განთავსებულია მდინარის კალაპოტის გარეთ“, რაც ურთიერთგამომრიცხავია და საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში მოდელირების შედეგად მიღებული მონაცემები, კვეთები, დატბორვები და წყლის მაქსიმალური დონეები წარმოდგენილია ფოტოების სახით. აღნიშნული ინფორმაცია, ასევე ხიდის კონსტრუქცია და პარამეტრები უნდა იქნას წარმოდგენილი GIS-ის ფაილის სახით;
- გზმ-ის ანგარიშში გვ. 11 მითითებულია, რომ დაგეგმილი სახიდე გადასასვლელის სტრუქტურული პროფილი ნაჩვენებია სურათზე 10, თუმცა დოკუმენტში აღნიშნული სურათი არ არის მოცემული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო წყვეტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. სამინისტრო აღნიშნულ პროექტზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს გადამუშავებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

